ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

5188152

მცხეთის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ მარინა ზურაბიშვილს
მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

ქალბატონო მარინა,

თქვენი 2021 წლის 30 სექტემბრის №34-3421273248 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სოფელ წეროვანში მდებარე 1350 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 72.08.22.831) პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია კერძო მესაკუთრის კუთვნილი 6 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი. შესაბამისად, ნაკვეთი ხვდება საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში. ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, 6 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის გათვალისწინებულია 10 მეტრიანი დაცვითი ზონა ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან. აღნიშნული დადგენილებით იკრძალება ნებისმიერი ქმედება (მათ შორის შენობა-ნაგებობების მშენებლობა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა და ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) და შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/მოსარგებლე, განურჩევლად ფორმისა, ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ნორმატიული შეზღუდვების დაცვა, რაც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრობლემურია კერძო მესაკუთრეების/მოსარგებლეების შემთხვევაში.

შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზების უსაფრთხო და გამართული ექსპლოატაციის მიზნებიდან გამომდინარე, კომპანიისთვის კატეგორიულად მიუღებელია ელ. გადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის განკარგვა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები და წერილში მითითებული უძრავი ქონების განკარგვა განახორციელოთ ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის გარეშე და მისასვლელი გზის სავალდებულო უზრუნველყოფით. ამასთან ერთად აუცილებელია შეგვითანხმოთ მისასვლელი გზის დეტალური პირობები.

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი

David Kharshiladze
Digitally signed by David Kharshiladze
Date: 2021.10.15 13:52:19 +04'00'

შემსრ: თორნიკე ხარაიშვილი 577 35 05 72